მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

საქართველოს კანონი საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ

მუხლი 9[1]. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები

1. ქალაქ თბილისის თვითმმართველობა საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. *(28.12.2009. N2518 ამოქმედდეს 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.)*

2. ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებებია: *(28.12.2009. N2518 ამოქმედდეს 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.)*

ა) ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით; (28.12.2009. N2518)

ბ) ქალაქ თბილისის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;(28.12.2009. N2518)

გ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;

ე) ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიწათსარგებლობის საკითხების გადაწყვეტა და მართვა, დედაქალაქის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სავაჭრო, სამრეწველო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა; (27.04.2007. N4687)

ზ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის გაცემა და მიმდინარე მშენებლობებზე ზედამხედველობა; (27.04.2007. N4687)

ი) ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის ორგანიზება, მართვა და რეგულირება; (30.12.2008. N958)

კ) გარე ვაჭრობის რეგულირება;

ლ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

მ) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება, პარკირების ადგილების განსაზღვრა; ქუჩების დასუფთავება, განათება, სანიაღვრე მეურნეობის მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა; (28.12.2009. N2518)

ნ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;

ო) სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების (არქივი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სხვა) საქმიანობის ხელშეწყობა;

პ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ თბილისის სივრცით-ტერიტორიული

მოწყობა;

ჟ) დედაქალაქის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცება; *(1.12.2009. N2184 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.)*

რ) სახანძრო, სამაშველო და გადაუდებელი სასწრაფო დახმარებებით უზრუნველყოფა; *(8.04.2011. N4521)*

ს) საგზაო მოძრაობის დაგეგმარება;

ტ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

უ) დედაქალაქის საკუთრებაში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება; (31.07.2009. N1559)

ფ) ამოღებულია *(25.05.2012 N 6324 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

ქ) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი უფლებამოსილებები. *(24.11.2011 N 5291)*

3. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საკითხებისა, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხზე, რომელიც, კანონის თანახმად, არ განეკუთვნება ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებას და აკრძალული არ არის თვითმმართველი ერთეულისათვის. *(24.11.2011 N 5291)*

მუხლი 12. საკრებულოს კომპეტენცია

საკრებულოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) საკრებულოს რეგლამენტის, საკრებულოს ორგანოების დებულებების დამტკიცება, მათში ცვლილებების შეტანა და მათი შესრულების კონტროლი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილის, მუდმივი და დროებითი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა და გადარჩევა; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განაკვეთების ფარგლებში საკრებულოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილის, მუდმივი კომისიის თავმჯდომარის და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის ყოველთვიური გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრა; *(8.04.2011. N4521)*

გ) საკრებულოს სტრუქტურის დამტკიცება; საკრებულოს კომისიების შექმნა; კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

დ) საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა და მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა;

ე) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება;

ზ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

თ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება და ბიუჯეტის შესრულების კონტროლი;

ი) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, მათი ოდენობების განსაზღვრა და მათი გაუქმება;

კ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება;

ლ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის განვითარების სტრატეგიის დამტკიცება;

მ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების წესების დადგენა;

ნ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით მიწის ნორმატიული ფასისა და საიჯარო ქირის ოდენობის დადგენა;

ო) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმების, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის და ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული აქციების, წილის მართვის უფლებით გადაცემის წესების დამტკიცება;

პ) ქალაქ თბილისის მერის და ქალაქ თბილისის მთავრობის სხვა თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი; ქალაქ თბილისის მერის ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

ჟ) საკრებულოს მიერ შექმნილი ორგანოების ხელმძღვანელთა და სხვა თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა;

რ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ თბილისის მთავრობისათვის კრედიტის აღებაზე თანხმობის მიცემა ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ს) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის ტერიტორიის ზონებად დაყოფა და მის საფუძველზე მიწათსარგებლობის წესების დამტკიცება;

ტ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის რაიონისათვის ან უბნისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება; ისტორიულ-კულტურული, გამწვანების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონების გამოყოფა; მათთვის სახელწოდებების მინიჭება, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა;

უ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის მოსახლეობის საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისათვის სანებართვო წესების დადგენა;

ფ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების წესების განსაზღვრა;

ქ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეგულირების შემოღება და გაუქმება, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესების დადგენა;

ღ) სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოების ინფორმაციის მოსმენა;

ყ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ქალაქ თბილისის გერბის, დროშის, ჰიმნისა და სხვა სიმბოლოების დადგენა, მათი გამოყენების წესების განსაზღვრა;

შ) ქალაქ თბილისის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების დადგენა;

ჩ) ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი რაიონების შექმნა, არსებული რაიონების გაერთიანება, დაყოფა, გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა, შესაბამისი რაიონების გამგეობების შექმნა და გაუქმება, რაიონების სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებად (უბანი, სექტორი, კვარტალი, მიკრორაიონი და ა. შ.) დაყოფა;

ც) დედაქალაქის საკუთრებაში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესების დადგენა;

ძ) დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური გეოინფორმაციული ერთეულის, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციული რაიონის, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, გეგმარებითი რაიონის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, სხვა ტერიტორიული ერთეულის; მთის, ბორცვის, ხევის, მდინარის, ტბის, წყაროს; მოედნის, პროსპექტის (გამზირის); გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის; სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ტყის, საქალაქო სასაფლაოს, პანთეონის; შენობა-ნაგებობების; სატრანსპორტო სისტემის ობიექტების სახელდება საკრებულოს

ნორმატიული აქტით დადგენილი წესით;

ძ[1]) საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება იმ საკითხზე, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არ განეკუთვნება ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებას და აკრძალული არ არის კანონით; *(24.11.2011 N 5291)*

წ) ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

მუხლი 22. ქალაქ თბილისის მერი

1. ქალაქ თბილისის მერი (შემდგომში – მერი) არის ქალაქ თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი. მერი აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, 4 წლის ვადით. მერის არჩევის წესს ადგენს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი". (28.12.2009. N2527)

2. მერად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც და რომელიც არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში. (28.12.2009.N2815)

2[1]. მერზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება, გარდა „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა. (28.12.2009. N2518 ამოქმედდეს 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.)

3. მერი:

ა) ამოღებულია *(24.02.2004 N 3419)*

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) და მოადგილეებს, ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსს, საქალაქო სამსახურების უფროსებს და ქალაქ თბილისის რაიონების გამგებლებს; (8.04.2011. N4521)

გ) ამოღებულია *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

დ) უფლებამოსილია ერთი კვირის ვადაში, შესაბამისი შენიშვნებით დააბრუნოს საკითხი საკრებულოში ხელახლა განსახილველად. საკრებულო ვალდებულია ორი კვირის ვადაში უყაროს კენჭი მერის შენიშვნებს. თუ შენიშვნები არ იქნება მიღებული, კენჭი ეყრება საკრებულოს მიერ მერისათვის წარდგენილ თავდაპირველ ვარიანტს. საკრებულოს ნორმატიული აქტები მიღებულად ითვლება და ქვეყნდება საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერით, თუ თავდაპირველ ვარიანტს მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;

ე) უფლებამოსილია საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის"ი" ქვეპუნქტით და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს საკრებულოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის წინადადებით;

ვ) ამოღებულია *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

ზ) ამოღებულია *(24.02.2004 N 3419)*

თ) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს გამგებლების აქტები; *(24.02.2004 N 3419)* თ[1]) ქალაქ თბილისის რაიონის გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს ქალაქ თბილისის რაიონის გამგეობის დებულებას; (28.12.2009. N2518)

ი) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით თანხმობას აძლევს სამთავრობო დაწესებულებების შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების დანიშვნა-განთავისუფლებაზე;

(28.06.2000)

კ) ხელს აწერს ქალაქ თბილისის მერიის, მათ შორის, ქალაქ თბილისის მთავრობის, სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; წარმოადგენს ქალაქ თბილისს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს; (28.12.2009. N2815)

ლ) უფლებამოსილია მიმართოს ქალაქ თბილისის მოსახლეობას;

მ) ანიჭებს ქალაქ თბილისის საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს;

ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს

ო) კოორდინაციას უწევს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას და მათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას; *(21.06.2002 N1537 2003წლის 1 იანვრიდან)*

ო^{1}) წყვეტს საქალაქო მნიშვნელობის ეკონომიკურ, განათლების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის საკითხებს, ამტკიცებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს; (28.12.2009.N2815)

ო^{2}) ამტკიცებს ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის და გამწვანების პროგრამებსა და გეგმებს; *(28.12.2005 N 2563)*

ო^{3}) ამტკიცებს საქალაქო სამსახურების დებულებებს; *(28.12.2005 N 2563)*

პ) ახორციელებს ამ კანონითა და საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მერიის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ჟ) უძღვება მთავრობის საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს თავის მოადგილეებს შორის; თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს; მთავრობის საქმიანობიდან გამომდინარე, შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს ქალაქ თბილისის საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს; *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

რ) საკრებულოს წარუდგენს ქალაქ თბილისის ბიუჯეტის, აგრეთვე მასში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს; (28.12.2009. N2815)

ს) ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს;

ტ) ამოღებულია (1.12.2009. N2184 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.)

4. მერი ვალდებულია საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

5. მერი საკუთარ უფლებამოსილებას იხსნის და პასუხისმგებელია ქალაქის მოსახლეობისა და საკრებულოს წინაშე. მერი ვალდებულია ყოველწლიურად წარდგეს ანგარიშით საკრებულოს წინაშე. ქალაქის საკრებულოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით მერი ვალდებულია წარდგეს რიგგარეშე ანგარიშით. *(01.07.2005 N 1869 ძალაშია ახლად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობისთანავე)*

მუხლი 23^{1}. მთავრობის უფლებამოსილებანი *(20.04.2010 N N 2949)*

მთავრობის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;

ბ) მთავრობის წევრებისთვის დავალებების მიცემა მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხების მომზადებისა და შესრულების მიზნით;

გ) ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და განხილვა, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება; საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებების მომზადება, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, მათი ოდენობების განსაზღვრისა და გაუქმების, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების ორგანიზების შესახებ წინადადებების მომზადება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოსათვის წარსადგენად;

ე) საკრებულოს მიერ დადგენილი წესით ადგილობრივი საკუთრების ფლობა, განკარგვა და მისით სარგებლობა;

ე[1]) ადგილობრივ საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, საპრივატიზებო პირობებისა და ფასის განსაზღვრა; *(28.10.2010. N3773)*

ე[2]) ადგილობრივ საკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთის, აქციებისა და წილების სახელმწიფოსათვის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, თვითმმართველი ერთეულებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა; (16.03.2012. N5856)

ვ) მთავრობის რეგლამენტის, მასში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავება და მერისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქალაქო სამსახურების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; *(8.04.2011. N4521)*

ზ[1]) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კერძო სამართლის (სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული)) იურიდიული პირებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია; კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობა და მათში გაწევრება; მთავრობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების გამართული საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და მათთვის ქონების გადაცემა; ამხანაგობაში მონაწილეობა; სამეწარმეო იურიდიული პირის წილის (აქციების) შეძენა; მთავრობის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით არსებული იურიდიული პირებისათვის სამოქმედო წესების განსაზღვრა; *(8.04.2011. N4521)*

თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მთავრობის მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო, არასამეწარმეო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა დანიშვნა-გათავისუფლება და მათი საქმიანობის კონტროლი;

ი) მთავრობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური სახსრებისა და ქონების საკუთრებაში გადაცემა; (8.04.2011. N4521)

კ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდების (დებულების) დამტკიცება, რომლითაც განისაზღვრება სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებები;

ლ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა წინადადებებისა ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან მოხსნის თაობაზე; (8.04.2011. N4521)

მ) მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად კომისიების, საბჭოებისა და სხვა საკონსულტაციო ორგანოების შექმნა; მათი სამოქმედო დებულებების დამტკიცება;

ნ) დედაქალაქის შიდა სარგებლობის გზების შეკეთების, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის ორგანიზება; საქალაქო არქივის შექმნა;

ო) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საგზაო მოძრაობისა და მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

პ) დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 და M_3 კატეგორიები) მოძრაობის მარშრუტების დადგენა და დამტკიცება;

ჟ) საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას დედაქალაქის ტერიტორიაზე შემომავალი ავტობუსებისათვის (M_2 და M_3 კატეგორიები) მოძრაობის მარშრუტების დადგენა და დამტკიცება;

რ) დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის (ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება, შეგროვება, ტრანსპორტირება, გამოყენება, გადამუშავება, სეპარაცია, გაუვნებლება და განთავსება) მომსახურების ორგანიზება;

ს) დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მიზნით ოპერატორის შერჩევის წესის განსაზღვრა;

ტ) დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, გარდა დასახლების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა, დამტკიცება საკრებულოს მიერ დადგენილი წესით;

ტ[1]) ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიების განვითარებისა და რეაბილიტაციის განხორციელებაში მონაწილეობა და არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა, მათ შორის, დედაქალაქის ცალკეულ ტერიტორიათა კეთილმოწყობის, გარე გაფორმების ელემენტების, მცირე არქიტექტურული ფორმების, ცალკეული არქიტექტურული დეტალების, დეკორატიული ელემენტების დამატება-მოწყობის საკითხების რეგულირება და აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების გატარება; (8.04.2011. N4521)

ტ[2]) სოციალურ-კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება; (16.03.2012. N5856)

უ) ამოღებულია *(25.05.2012 N 6324 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)*

უ[1]) დედაქალაქის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავება და შესრულება; (8.04.2011. N4521)

უ[2]) დედაქალაქის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, შესრულება და მისი განხორციელების მონიტორინგი; (8.04.2011. N4521)

ფ) ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელება.